სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/129

ქ. თბილისი

22 ივლისი 2025წ.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით შექმნილი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგობრივი კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის განხილვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 06 ივნისის №01-06-02/21 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის“ მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიების და მათი სამდივნოების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №01-05-04/120 დადგენილების საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით შექმნილი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებების დარგობრივი კომისიის 2025 წლის 21 ივლისის რეკომენდაციის, კონკურსანტების თანხმობებისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების დარგობრივი კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის საფუძველზე, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა საგანთა №1 ჯგუფში გამოცხადებული ასოცირებული პროფესორის 15 სრული საშტატო

ერთეულიდან 2 (ორი) საშტატო ერთეული (390 სთ) გაიყოს 4 (ოთხ) არასრულ საშტატო ერთეულად (195 სთ) და აღნიშნულ საგანთა ჯგუფში ასოცირებული პროფესორის საკონკურსო ადგილებად ჩაითვალოს 13 (390 სთ) და 4 (195 სთ) საშტატო ერთეულები.

2. დადგენილება გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) უნივერსიტეტის საშტატო ნუსხაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**